

რეზიუმე

სოციალური მონიტორინგი — ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა სოციალურ ინფორმაციის პერიოდული შეკრების, განზოგადებისა და ანალიზის სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი სოციალური მართვის სფეროს დონეზე.

სოციალური მონიტორინგის ობიექტებად გვევლინებიან:

- ადამიანების ურთიერთობა ხელისუფლების ორგანოებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან.
- ურთიერთნაციონალური ურთიერთობები.
- მიგრაციული პროცესები.
- დაკავება, შრომის პირობები, შემოსავლების დონე.
- სოციალური მომსახურების დარგების საქმიანობა.

- კრიმინოგენული მდგომარეობა და სხვა.

სოციალური მონიტორინგის არსი მდგომარეობს სოციალურ პროცესებსა და მოვლენებზე მონაცემების წყაროების მთლიანი არსენალის კომპლექსურ გამოყენებაში — მიმდინარე სტატისტიკა, ანგარიშები, აღწერები, სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევები და სხვა.

სოციალური მონიტორინგის ძირითადი პრინციპებად გვევლინება:

- სოციალური ინფორმაციის სისავსე, სისტემურობა და უეჭველობა.
- ცნობების (მონაცემების) მიღების ოპერატივობა და მათი სისტემური აქტუალიზაცია.
- მონაცემებში დაპირისპირება, ინფორმაციების შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე.

მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება ერთიანი მდგომარეობის დამუშავება. პირველადი მონაცემების მიღებაზე (ანკეტირების შედეგები, გამოკითხვები, ინტერვიუ) მათ დაჯგუფებაზე ანალიზსა და რანჟირების (ზომის, ფორმის მიხედვით) ერთიანი პრინციპების გამოყენებაზე. ეს საშუალებას იძლევა მოეწყოს და თვალყური ადევნონ სოციალური პროცესების დინამიკას, უზრუნველყონ დაპირისპირება.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მენეჯმენტი, სოციალური მონიტორინგი, მიგრაცია, სოციალური ინფრასტრუქტურა.

Social Field Analysis Methods (Social Monitoring) and Case Management in Social Management

Nunu Gigauri
Associate Professor

Summary

The author aims to explain the essence of its social monitoring summarize, strategic analysis and tactical decision-making, state, regional and local social to use the level of management.

Let's discuss social issues, what is the relationship between the monitoring objectives, which is the basic principle and the main tasks to be performed as well as the statistical indicator system.

It should be explained by the production of a corporate culture, which is the production of documentation (management) of the process and calls to particular attention should be paid to obtain documents on credit-documentation as it may have a different look.

The documentation must comply with the requirements of confidentiality, the client and the appropriate authorities to present accounting principles.

It should be noted at the end of the use of audio and video recordings and computer processing and documentation of social services to draw up the bank.

Keywords: Social Management, Social Monitoring, Migration, Social Infrastructure.

ძირითადი ტექსტი

სოციალური მონიტორინგის ძირითადი ამოცანებია:

- 1) ეკონომიკის სოციალური სტრუქტურის გამოკვლევა.
- 2) მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ანალიზი (სტრატეგიკაცია).
- 3) ადამიანთა ცხოვრების წესის შენაწკა (პირობები, ხარისხი, ცხოვრების სტილი).
- 4) მასობრივი (მასის) ცნობიერების ძირითადი ნიშნების გამოკვლევა (მოთხოვნები, ღირებულებები (ფასეული) ორიენტაციები, ზნეობრივი პოზიცია, შეხედულება, განწყობილება).
- 5) ადამიანთა საქციელის ეკონომიკური ტიპების გამოკვლევა (დაგროვება „შავი დღისათვის“, ფულის ხარჯვა, მათი მოსალოდნელი გაუფასურების შიშით).
- 6) სოციალური ურთიერთობის მთლიანი კომპლექსის ანალიზი, რომელიც ვლინდება ადამიანთა შორის ცალკეული რეგიონებსა და საზოგადოებებში მთლიანად.

სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემა ეწყობა სოციალური მენეჯმენტის ყოველ ობიექტთან შეფარდებით (მიხედვით) ხოლო საფუძვლად უდევს შემდეგი მაჩვენებლების:

- 1) სახელმწიფოს მმართველობა.
- 2) დანახარჯები სოციალურ მოთხოვნებზე.
- 3) პოლიტიკური სტატისტიკა.
- 4) მოსახლეობა და სოციალური სტრატეფიკაცია (განაწილება სოციალური ჯგუფების) სტრატის მიხედვით.
- 5) სოციალური ინფრასტრუქტურა.
- 6) ცხოვრების წესი.

სახელმწიფო მმართველობის გამოკვლევისას გამოავლენენ:

— ხელისუფალთა ორგანოების რაოდენობას და სტრუქტურას.

— წარმოებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობასა და სტრუქტურას.

— კანონები, ბრძანებულებები (მითითებები) და დადგენილებები მიმართული სოციალური სფეროს სრულყოფისათვის.

დანახარჯები სოციალურ მოთხოვნებზე ასახავენ მაჩვენებლებს სახელმწიფო რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე.

პოლიტიკურ სტატისტიკას ასახავს:

— პარტიებისა და პოლიტიკური მიმდინარეობების შემადგენლობას.

— მათ წარმომადგენლობას ხელისუფლებაში.

— პოლიტიკურ აქციებს.

— საარჩევნო სისტემას.

მოსახლეობისა და სოციალური სტატეფიკაციის გამოკვლევა გვიჩვენებს:

— მოსახლეობის მოძრაობას (ბუნებრივი ნამატი და შემცირება, მიგრაცია).

— განაწილება სოციალური მხარეებისა და ჯგუფების (ტრატები) მიხედვით.

სოციალური ინფრასტრუქტურა:

— სოციალური მომსახურების სფერო დარგების დახასიათება.

— მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი.

— შრომის ბაზარი.

— ადამიანთა ცხოველქმედების ეკოლოგიური პირობები.

— კრიმინოგენური სიტუაცია.

ცხოვრების წესი ხასიათდება:

— ფასებით, ინფლაციით.

— მოსახლეობის განათლების, პროფესიული და კულტურული დონით.

— მოსახლეობის განმრთელობით, დაკავება სპორტით, ფიზკულტურით.

— ყოფაცხოვრებით, დროის ბიუჯეტით.

— საზოგადოებრივი აზრით.

სოციალური ინდიკატორების ხარისხში გამოიყენება:

1. სოციოკულტურული დადგენები და შეხედულებები.

2. სოციალური გუნება—განწყობილება.

3. პოლიტიკური შეფასებები და შეხედულებები.

4. ეკონომიკური სიტუაციის შეფასება.

5. ეკონომიკური ცვლილებების შეფასება და პროგნოზი.

6. ეკონომიკური დადგენები და საქციელი.

7. სოციალურ ცვლილებათა შეფასება.

სტატისტიკური მონაცემებისა და სოციალური ინდიკატორების მთელი ეს სისტემა საშუალებას იძლევა უზრუნველყოს საიმედო ინფორმაციული ბაზა სოციალური მენეჯმენტის განხორციელებისათვის.

სოციალური მონიტორინგის არსიდან გამომდინარე მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება ერთიანი მიდგომის დამუშავება პირველადი მონაცემების მიღებისა და დაჯგუფებაზე, რაც წარმოუდგენელია ერთიანი საქმის წარმოების პრინციპების გამოყენების გარეშე სოციალურ მენეჯმენტში.

დოკუმენტაციის წარმოება (მართვა) ხელს უწყობს კლიენტის მდგომარეობისა და მისი პრობლემების სამუშაოს და ანალიზის ორგანიზაციი გაუმჯობესებას პრაქტიკაში სოციალური მენეჯერები დაკავებული არიან მხოლოდ მიღებაზე მოსული კლიენტების რეგისტრაციით, ამას გარდა მიღების დროს მოკლედ ფიქსირდება ის ცნობები, რომელსაც ატყობინებს კლიენტი. იმის განსაზღვრისათვის, თუ რამდენი კაცი მივიდა მიღებაზე და რაში მდგომარეობს მათი პრობლემა, როგორ დაეხმარონ მათ ეს ცნობები სრულად საკმარისია, მაგრამ ნაციონალური ორგანიზაციისა და მისაღები ზომების მუდმივი ანალიზისათვის ეს საკმარისი არაა.

პრაქტიკის სოციალური მენეჯერები ხშირად არ არიან ჩახუდელი საქმეში, კლიენტზე დოკუმენტაციის წარმოების მიზნებზე, მოცანებსა და როლზე, ამიტომ დოკუმენტაციის წარმოების დროის ფუჭ ხარჯვად მიიჩნევენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ დოკუმენტაცია:

— წარმოადგენს ერთგვარ სამახსოროს კლიენტსა და მის პრობლემებზე.

— შეიძლება იყოს იმის დამამტკიცებელი საბუთი, თუ კერძოდ რა გაკეთდა დროის ამა თუ იმ განსაზღვრულ მონაკვეთში კლიენტის პრობლემის გადასაწყვეტად და რა უნდა გაკეთდეს კიდევ.

— აფიქსირებს განსაზღვრულ რეზულტატებს, ე.ი. გვევლინება ანგარიშების დოკუმენტად მენეჯერის საქმიანობის ანალიზის დროს დოკუმენტაცია წარმოადგენს შესრულებული სამუშაო დამამტკიცებელ საბუთს და ასახავს საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

დოკუმენტაცია თამაშობს უკუკავშირის (ორმხრივი) კავშირის როლს ხელს უწყობს სოციალური მენეჯმენტის კვალიფიკაციის ამაღლებას და შეიძლება სასარგებლო ინფორმაციით ემსახუროს სხვა მენეჯერებს.

დოკუმენტირების პროცესში სოციალური მენეჯერი ატარებს ინორმაციას „ჩემზე გავლით“, რაც საშუალებას აძლევს უკეთ ჩანვდეს პრობლემას.

დოკუმენტაციის დახმარებით შეიძლება გად-

ანყდეს განსაზღვრული ამოცანები:

— დაგროვება ინფორმაციების კლიენტზე, მის პრობლემებზე, მასთან მუშაობის მეთოდებზე.

— კლიენტებზე დახმარების აღმოჩენის თანმიმდევრულობის (პროცესის) ფიქსაცია.

— სხვადასხვა სპეციალისტების ძალისხმევითა კოორდინაცია სამუშაოში დუბლირების გამორიცხვის მიზნით.

— ინფორმაციის გადაცემაზე მართვისა და შესრულების ყველა დონეზე.

— შრომის მეთოდებისა და მიღებული რეზულტატების განზოგადება.

— ინფორმაციათა სისტემატიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მასზე ხელმისაწვდომობის საშუალებას სხვა სოციალური მუშაკისათვის.

— კლიენტებისა და მათი მომსახურების პირობების ტიპიზაცია, მონაცემების ბანკის შედგენისათვის.

დოკუმენტაციის შედგენა სოციალურ მენეჯმენტში იწყება კლიენტსა და სოციალურ სამსახურს შორის თანამშრომლობაზე ხელშეკრულების შედგენით და ხელისმოწერით, რომელიც დაადასტურებს. მხარეთა პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას პრობლემის გადაჭრის მიმართ.

დოკუმენტაციას შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს:

— სუბიექტური ცნობები, ჩანრილი კლიენტის მონათხრობიდან.

— ობიექტური ინფორმაცია, მიღებული ტესტირების, ანკეტირების შედეგად და კიდევ ცნობების საფუძველზე.

— ანალიტიკური ინფორმაცია, წარმოადგენს წინასწარი დასკვნებისა და სოციალური მენეჯერის განზოგადებების ერთიანობის (ნაკრებს) როგორც ინფორმაციების ობიექტური და სუბიექტური ანალიზის შედეგი.

— საქმიანი ტაქტიკური ინფორმაცია — გეგმა, პროგრამები, ოქმები, განცხადებები, დახსიათებები, მინდობილობები.

— საანგარიშო (ანგარიშის) ინფორმაცია, აფიქსირებს საქმიანობის შედეგებს.

შეიძლება იყოს თავისუფლი გაფორმება — თხრობითი ინფორმაციისათვის, ან გაფორმება სტანდარტების მიხედვით (ოქმები, ცნობები, კონტრაქტები, დახსიათებები, განცხადებები) ან ფორმის შევსება, რომელიც მოითხოვს მოკლე პასუხებს.

ბოლო დროს გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორიცაა აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

დასკვნა

დოკუმენტების წარმოების პროცესში უნდა ვემხრობოდეთ გარკვეულ პრინციპებს (ნესებს), რომელთა დაცვაც გამოდის იმის გარანტიად, რომ ყოველი დოკუმენტი, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის წარმოდგენილი, უპასუხებს მთავრ მოთხოვნებს ეფექტიანობის, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის, კლიენტისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე ანგარიშგებას.

ეს არის შემდეგი პრინციპები:

— ზომიერება, როგორც აუცილებლობა და უნარი კლიენტზე მონაცემების წარდგენისა შევიწროვებული, თავშეკავებული, ეკონომიკური და სამუშაოსათვის მოსახერხებელი ფორმით. საკმარისი მომსახურების დაგეგმვისა და აღმოჩენისათვის.

— ფრაგმენტულობა, როგორც უარის თქმა ტოტალურობაზე კლიენტის პრობლემებს სიტუაციის და მასზე ცნობების ასახვისას, მათი წარდგენა მხოლოდ ცალკეული „საკვანძო“ ფორმით, მნიშვნელოვანი მომენტებისა, უშუალოდ შეფარდებული გადასაწყვეტ პრობლემასთან.

— შეგროვება გაფასურებაში და ემოციონალურად ნეიტრალური ინფორმაციებისა კლიენტზე და სხვ მონაწილეებზე რომელიც ქმნის საშიშროებას სტიგმატიზაციის.

— უწყვეტობა და რეალურობა წარმოდგენილი მონაცემებისა, განპირობებულია ცნობების დამაჯერებლობისა, ობიექტურობის და შესაძლებლობების თანაფარდობასთან. მიღებული და დაფიქსირებული გადანაცვებების ლეგიტიმურობასთან.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტირება ტექნიკის განვითარების მიხედვით, ნავა სრლუყოფილებისა და კომპაქტურობისაკენ, რაც დაეხმარება ორგანიზაციებს ფორმულიზაციის და ფოკუსირებისაკენ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა დაემატოს ნათქვამს დოკუმენტაციების კომპიუტერული დამუშავება და სოციალური მომსახურების მონაცემების მთლიანი ბანკის შედგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. გ. პოპოვი. „სოციალური მენეჯმენტი“. თავი 2- \$2/4, \$2/5. მოსკოვი. 17 აპრილი. 2000 წელი
2. მ. პ. პერევენზევი. ტ.. კოსოვი — „მენეჯმენტი კულტურასა და ხელოვნების სფეროში. ქ. მოსკოვი. „იანვარი“ 2000. 25 დეკემბერი. 2006წ
3. ინტერნეტრესურსები
4. მ.პ. პერევენზევი „მენეჯმენტი“. „ირა“. 2005 წელი. ქ. მოსკოვი.